პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივნისის №129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივნისის №129 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge , 27.06.2025, № 010250050.35.123.016721) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ირჩევს საბჭოს თავმჯდომარე. “.

2. მე-5 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ზ)საკრებულოს წევრების, საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების წევრების, მერიის სამსახურების წარმომადგენლების უფლებამოსილების შეწყვეტა/უფლებამოსილების ვადის ამოწურვა, გათავისუფლება.“.

3. დადგენილების დანართის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. საბჭოს პირველ სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც საბჭოს შემადგენლობიდან ირჩევს მოადგილეს.“.

4. დადგენილების დანართის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „7. საბჭოს სხდომები და გადაწყვეტილებები ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.“.

5. დადგენილების დანართის მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი: „10. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის წარმომადგენელი, რომელიც არის საბჭოს მდივანი.“

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარეხ ნიჟარაძე
ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე
მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ივნისის №129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი:** ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო გახდა ცალკეული საკითხების დაზუსტება.

2. **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:** ცვლილებები ეხება ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფას. კერძოდ:

ა) დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი შესაბამისობაში მოდის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტთან და მკაფიოდ კეთდება ჩანაწერი, რომ ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავჯდომარის მოადგილეს ირჩევს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე.

ბ) მე-5 მუხლის „ზ“ პუნქტი შესაბამისობაში მოდის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტთან.

გ) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტიდან ამოდის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს მდივნის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შემადგენლობიდან არჩევის ვალდებულება.

დ) მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს სხდომის ოქმს ხელს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად მოაწერს ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს მდივანი.

ე) მე-6 მუხლს ემატება მე-10 პუნქტი, რომლის თანახმად ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის წარმომადგენელი, რომელიც არის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს მდივანი.

3. **იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მიღება (გამოცემა):** არ არის დაკავშირებული ხარჯებთან.

4. **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის ავტორი (ავტორები):** საჯარო ფინანსების მართვის ექსპერტი, ტრენერი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი , პროფესორი შორენა კახიძე.

5. **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის წარმდგენი:** ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე მარეხ ნიჟარაძე.

მარეხ ნიჟარაძე

ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე
მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე